შეუთანხმებელი მონაკვეთები

A2

ლეონარდო დი კაპრიო სასტუმროს აშენებს

A4

პრეზენტაცია პავილიონში

A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 7 ივლისი, 2005 წელი. №152 (1012)

ფასი 50 თეთრი

ეუთო რუსეთს თავშეკავებისკენ მოუწოდებს

ნინო გომართელი

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეამ აფხაზეთთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო. ვაშინგტონის დეკლარაციაში ნათქვამია, რომ "მიუღებელია პროგრესის ნაკლებობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ძირითად საკითხებში." ასამბლეა რუსეთის მხარეს მოუწოდებს, "ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს დიალოგი კონფლიქტის მხარეებს შორის."

დეკლარაცია, ტრადიციულად, კონფლიქტის მონაწილე მხარეების მიერ დიალოგის წარმოების აუცილებლობაზე მიუთითებს და წუხილს გამოთქვამს მშვიდობიანი მოგვარების საქმეში პროგრესის ნაკლებობის გამო. ამიტომაც იგი ჩართულ მხარეებს მოუწოდებს, ყველა ღონე იხმარონ საქართველოში ჯერ კიდევ მოუგვარებელი კონფლიქტის გადასაწყვეტად.

ამასთან, ვაშინგტონის დეკლარაცია რუსეთის ფედერაციას ურჩევს, თავი შეიკავოს ყველა იმ მოქმედებისგან, რაც საქართველოში, აფხაზეთში მშვიდობიან პროცესს ხელს შეუშლის. საერთაშორისო ვალდებულების შესაბამისად, რუსეთის როლი ხომ მხარეებს შორის დიალოგის წარმოების უზრუნველყოფაა.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში დიდი ადგილი ეთმობა პროგრესის საჭიროებაზე საუბარს ისეთ საკითხებში, როგორიც არის იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება აფხაზეთში და აფხაზურ მხარეს მოუწოდებს, **"გამოიჩინოს ნება, სათანადო ყურადღება დაუთმოს დევნილებს და განახორციელოს აღნიშნული ამოცანა უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად."**

ამასთან, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა გამოთქვამს მხარდაჭერას აფხაზეთის საკითხზე მომუშავე სპეციალური კომისიის მუშაობისადმი და მოუწოდებს მას, **"გააძლიეროს მცდელობა, რათა მხარეები ჩაერთონ დიალოგში, რომელიც რეალურ წარმატებებს მოიტანს კონფლიქტის გადაწყვეტის საკვანძო თემებში. ისეთში, როგორიცაა პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა, უსაფრთხოების სრული გარანტიების უზრუნველყოფა, დევნილთა უწყვეტი და უპირობო დაბრუნება და ეკონომიკური საკითხები."**

ამინდი

	7/07	8 /07
თბილისი	34	32
ბათუმი	28	32
სოხუმი	28	31
დმანისი	26	27
გორი	28	30
ონი	25	26
ზუგდიდი	30	34
ახმეტა	33	31
გაგრა	27	29
სამტრედია	31	35

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8175
ევრო	2.2050
ბრიტანეთის სტერლ.	3.2868
რუბლი	0.0636

ამბები	A 2
ამბები	A 3
რევიუ	A 4
უცხოეთი	A 5
ტენდერი	A 6
სპორტი	A 7
სხვადასხვა	A 8

ბენსონმა ფესტივალი დახურა

ვერა ნეფარიძე

წუხელ ფილარმონიის სცენამ წლევანდელი ჯაზ-ფესტივალის უკანასკნელ სტუმარს უმასპინძლა. კონცერტის პირველივე წუთებიდან აცეკვებული მსმენელის გარდა, ამერიკელი მუსიკოსების საათნახევრიანი შოუ საქართველოს პრეზიდენტმაც დააფასა. ფესტივალის კულმინაციურმა დასასრულმა სრული ანშლაგით ჩაიარა. კონცერტის შესახებ წერილს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ. "კოკა კოლას ჯაზ-ფესტივალს" კი ფინალურ აკორდამდე არაოფიციალური კულმინაციური ნაწილიც ჰქონდა - ეს იყო 5 ივლისის საღამო. განსაკუთრებულ სტუმართან, ჯორჯ ბენსონთან შესახვედრად მომზადებული მსმენელი წინა ღამეს ჯერ რენდი ბრეკერმა და "შინის" მუსიკოსებმა, შემდეგ კი ჯონი სკოფილდმა და მისმა კვარტეტმა დაცალა ემოციებისგან.

გაგრძელება A4 გვერდზე

ვახო გეგეშიძის ფოტო

ჯორჯ ბენსონი.

შეხვედრა კახეთის მაჟორიტარებთან

ზვიად რუაძე
კახეთიდან

რამდენიმე კვირის წინ გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულმა სტატიამ, სათაურით - "როცა მაჟორიტარი საიდუმლოს ვერ უმხელს ამომრჩეველს" - კახელი დეპუტატების გულისწყრომა გამოიწვია. მესამე სექტორის წარმომადგენლების და მედიის კითხვებს მხოლოდ ახმეტის დეპუტატი პავლე ცაძიკიძე და ყვარლის მაჟორიტარი ნანა პატარკაციშვილი პასუხობდნენ. ეს მაშინ, როცა რეგიონს აღნიშნული პარლამენტარების გარდა, კიდევ ექვსი მაჟორიტარი ჰყავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

მასმედიასთან და არასამთავრობოებთან შესახვედრად კახეთის მხოლოდ ორი მაჟორიტარი გამოცხადდა.

გლენიგლზის სამიტი

ვიხსნათ აფრიკა სიღარიბისგან, მსოფლიო კი - გლობალური დათბობისგან

ნიკა თარაშვილი

შოტლანდიის უმშვენიერეს საკურორტო დასახლება გლენიგლზში გუშინ "დიდი რვიანის" სამიტი გაიხსნა. სამიტის მსვლელობისას, რომელიც პარასკევამდე გასტანს, მსოფლიოს რვა ყველაზე მდიდარი სახელმწიფოს ლიდერები იმსჯელებენ აფრიკის უღარიბესი ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერაზე, კლიმატის გლობალური ცვლილებების საკითხებზე, ნავთობის მაღალ ფასებსა და გლობალურ ეკონომიკაზე მათი გავლენის შესახებ. გარდა ამისა, დღის წესრიგშია ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა.

გაგრძელება A5 გვერდზე

წინასწარი შეფასებით, გლენიგლზის სამიტი დიდი გარდაქმნების მომტანი არ იქნება.

საზღვაო ბრძოლა რკინიგზის წინააღმდეგ

სოხუმში რკინიგზის აღდგენასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებსა და აფხაზეთისაკენ მიმავალ თურქულ გემზე ქართველი მესაზღვრეების თავდასხმას ერთმანეთს უკავშირებენ.

აფხაზეთის ხელისუფლებამ, გადაწყვეტილება მიიღო, ამჯერად არ გაეკეთებინა კომენტარი ქართველი მესაზღვრეების მიერ თურქული გემის დაკავების ფაქტზე, რომელსაც ერთ-ერთ აფხაზურ პორტში ფქვილი მიჰქონდა. **"ტვირთი ნამდვილად აფხაზეთს ეკუთვნოდა, თუმცა ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ გემი ერთ-ერთი ჩვენი პორტისკენ მიცურავდა, რადგან დოკუმენტაციის შესაბამისად, გემი სოჭის პორტში უნდა ჩასულიყო,"** - განაცხადა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა სტანისლავ ლაკობამ. უშიშროების საბჭომ აღნიშნული ფაქტი შესაძლოა მხოლოდ რეისის დეტალების გარკვევის შემდეგ განიხილოს.

ამასობაში კი, თურქული გემის დაკავებას, რომელზეც აფხაზეთში მომუშავე, თურქეთის მოქალაქეები იმყოფებოდნენ, სოხუმში პირდაპირ უკავშირებენ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმატებულ მოლაპარაკებებს. ლაკობასვე მოსაზრებით, ურთიერთკავშირი აშკარაა. მისი თქმით, საქმე ისაა, რომ არც საქართველო და არც შეერთებული შტატები არ არიან დაინტერესებული იმ სატრანსპორტო მაგისტრალის აღდგენით, რომელიც რუსეთს სამხრეთ კავკასიაში საკუთარი ძალების განმტკიცების საშუალებას მისცემს. ამას გარდა, აღნიშნული მაგისტრალი ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის სამხედრო თანამშრომლობას სომხეთთან და, შესაძლოა, ირანთანაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

ოპოზიცია - ჟურნალისტების ადვოკატი

ტელეკომპანია "მზის" ჟურნალისტებსა და მმართველი პარტიის ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბოკერიას შორის დაპირისპირება, რასაც, როგორც კულუარებში ამბობენ, არხის წინააღმდეგ ხელისუფლების რეპრესიები მოჰყვა, ოპოზიციური სპექტრის სპეციალური პრესკონფერენციის მიზეზი გახდა.

თამარ ასათიანი

გუშინ "რესპუბლიკელებმა", "ახალმა მემარჯვენეებმა" და "კონსერვატორებმა" მედიას მადლობა გადაუხადეს 30 ივნისს რუსთაველზე განვითარებული მოვლენების ობიექტურად გაშუქებისთვის და იქვე განაცხადეს, რომ მათ შესანიშნავად იციან, თუ რა პრობლემები გაუჩნდა თითოეულ არხს ჟურნალისტების პრინციპულობის გამო. მაგალითად, გუშინ ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ ტელეკომპანია "მზე"-ში უკვე შესულია ფინანსური პოლიცია, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ეჭვი, რომლის თანახმადაც, ხელისუფლების წარმომადგენლები დამოუკიდებელი ტელეარხის მიმართ რეპრესიებს ახორციელებენ.

გუშინვე ოპოზიციამ პირდაპირ განაცხადა, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ქვეყანაში დამოუკიდებელმა მედიამ არ იარსებოს. "რესპუბლიკელი" ლევან ბერძენიშვილი მედიის წინააღმდეგ დაწყებული ომის მთავარ იდეოლოგად ყოფილ თანამებრძოლს, ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოადგილეს, გიგა ბოკერიას ასახელებს და მას "მოფაშისტო ელემენტს" უწოდებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

ერთი ფოტოს ისტორია გრძელდება

მაია მესხვარიშვილი
ქუთაისიდან

უკვე ერთ თვეზე მეტია, ქუთაისის საოლქო სასამართლო ქუთაისელი ფოტოგრაფის თორნიკე ტურაბელიძის სარჩელს განიხილავს. ფოტოზე, რომელზეც ტურაბელიძე ითხოვს საავტორო უფლების დაცვას, ქუთაისელი მაღალჩინოსნების სკანდალური გართობის ფაქტია აღბეჭდილი. აღნიშნული ფოტო გაზეთებმა "რეზიუმემ", "ჯორჯიან თაიმსმა" და "კომსომოლსკაია პრავდამ" ტურაბელიძისგან დაუკითხავად გამოაქვეყნეს და მას შეუსაბამო კომენტარი დაურთეს, რისთვისაც ამ გაზეთებისგან მოსარჩელემ 80 000 ლარი მოითხოვა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

4 ივლისს ქუთაისის საოლქო სასამართლოში მთავარი სხდომა მოსარჩელის განცხადებით დაიწყო. ტურაბელიძე ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და მუქარის ფაქტებზე ღიად ალაპარაკდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქუთაისელ ფოტოკორესპონდენტს ხელისუფლების წარმომადგენლები "ყველაზე ოპოზიციური გაზეთის" "ჯორჯიან თაიმსის" წინააღმდეგ სარჩელზე უარის თქმას აიძულებენ.

"ერთი კვირის წინ თბილისიდან ჩამოვიდა გია ჯიბლაძე და ტელეფონით მთხოვა შეხვედრა, როგორც თავად მითხრა, აინტერესებდა ჩემი სასამართლო პროცესის მსვლელობა. შეხვედრა ვიცე-გუბერნატორის გიგა შუშანიას სახლში შედგა, სადაც ჯიბლაძემ მითხრა: ჩემი ინტერესიც არის და გია გეწაძის თხოვნითაც მოგმართავ, რომ "ჯორჯიან თაიმსის" მიმართ სარჩელი გაიტანო სასამართლოდანო. პირდაპირ მითხრა, პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, საქმე მიფუჭდებაო. გეწაძე პირადად მე არ დამკავშირებია, ჯიბლაძემ მითხრა, რომ მას ამ თემის კიდევ ერთხელ აფიშირება და აგორება არ აწყობსო. მე ვუთხარი, რომ ამ საკითხზე ადვოკატთან მოთათბირება მჭირდებოდა და დავშორდით ერთმანეთს. ამის შემდეგ ჯიბლაძე და შუშანია "ჰიუნდაის" მარკის მანქანით მოვიდნენ გუბერნატორ ქაჯაიას სახლთან და მთხოვეს, რომ გავყოლოდი მათ. მე მათ არ გავყევი, მანქანაში შედგა ჩვენი საუბარი. მაშინაც და დღესაც კატეგორიული ვარ, უკან დახევას არ ვაპირებ, რადგან ყველამ იცის, რომ მე ცამდე მართალი ვარ. მაშინ შუშანიამ მითხრა, რომ ხელისუფლებაში ვიქნები თუ არა, ერთი კაცის გაფუჭებას ყოველთვის შევძლებო," - აცხადებს თორნიკე ტურაბელიძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტების ოდენობა 187 პროცენტით გაიზარდა

კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა, მიმდინარე წლის 1 მაისის მდგომარეობით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად - 187 პროცენტით გაიზარდა და 51 693 ათასი ლარი შეადგინა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუსს სებ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში აცნობეს.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში მოზიდული ამავე სახის დეპოზიტების მოცულობას, გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 34 პროცენტით, 509 802 ათას ლარამდე გაიზარდა.

იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ საანალიზო პერიოდში როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში 561 495 ათასი ლარი შეადგინა.

ამასთან, კომერციული ბანკების სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ დეპოზიტების ზრდა დაფიქსირდა საპროცენტო განაკვეთების უცვლელობის პირობებში. როგორც შარშან, ასევე მიმდინარე წელსაც საპროცენტო განაკვეთი ვადიან დეპოზიტებზე, საშუალოდ, 9-10 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტებზე - 3 პროცენტს.

საბანკო სისტემის ბოლოდროინდელი სტატისტიკა ლარში დეპოზიტების მატების ტენდენციას და ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ამაღლებას ადასტურებს. ამასთან, როგორც გასული, ასევე მიმდინარე წლის საანალიზო პერიოდებში ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დეპოზიტების მთლიან მოცულობაში, მოთხოვნამდე დეპოზიტების დიდი წილის მიუხედავად, ვადიანი დეპოზიტების ოდენობა, შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა (მათგან უპირატესობა 3-6 თვემდე ვადიანობის დეპოზიტებს ენიჭება). ეს მიანიშნებს, რომ ეროვნული ვალუტა, საანგარიშსწორებო ფუნქციასთან ერთად, დანაზოგების შენახვის თვალსაზრისითაც თანდათან უფრო მიმზიდველი ხდება.

როგორც 2004, ასევე 2005 წლის საანალიზო პერიოდებში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს ვადიანი დეპოზიტები შეადგენს. კერძოდ, პირველი მაისის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ უცხოურ ვალუტაში მოზიდული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობიდან მოთხოვნამდე დეპოზიტებზე 146 887 ათასი ლარი, ხოლო ვადიან დეპოზიტებზე 362 915 ათასი ლარი მოდის, აქედან, უპირატესობა 6-12 თვემდე ვადიანობის დეპოზიტებს ენიჭება.

როგორც პრაიმ-ნიუსს ეროვნული ბანკის ექსპერტებმა უთხრეს, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში ბანკებში განთავსებული ვადიანი დეპოზიტების მოცულობის ზრდა საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლების მაჩვენებელია.

დღეისათვის საქართველოს საბანკო სისტემაში მერყევი ვალდებულებების წილი, ანუ იმ დეპოზიტების ოდენობა, რომელთა ვადა ერთ თვეში ან თვეზე უფრო ადრე იწურება, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიან მოცულობაში მცირეა. კერძოდ, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადიანობის დეპოზიტების მოცულობა 190 346 ათას ლარს შეადგენს. 1 თვის ზემოთ ვადიანობის დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში - 356 569 ათას ლარს, ეროვნულ ვალუტაში კი - 14 580 ათას ლარს შეადგენს, ანუ მათი ოდენობა მთლიანი დეპოზიტების მოცულობაში 371 149 ათასი ლარის ტოლია.

სებ-ის ექსპერტთა აზრით, საქართველოს საბანკო სისტემაში ნდობის ფაქტორის ამაღლებას და, შესაბამისად, დეპოზიტების ზრდას ხელს შეუწყობს დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომლის დანერგვაც საქართველოს უახლოეს პერსპექტივაში იკვეთება.

24 საათი

მერიამ სანიმუშო სკოლის მშენებლობა დაასრულა

დამდეგ სასწავლო წელს ავლაბარი ერთ-ერთი პრესტიჟული ადგილი გახდება. მარტყოფის ქუჩაზე ულტრათანამედროვე სტანდარტების შესაფერისი უზარმაზარი სკოლის მშენებლობა დასრულდა. ამ 5 815 კვადრატული მეტრი ფართის შენობაში სამი ეროვნების, სომეხი, რუსი და ქართველი ბავშვები ისწავლიან.

ნანა ქადაგიშვილი

აღნიშნული შენობა თბილისის 98-ე სომხურ-რუსული საშუალო სკოლის დანგრეული შენობის ნაცვლად აშენდა. ამ სკოლის შენობა რამდენიმე წლის წინათ დაინგრა და სკოლა მეზობლად მდებარე შენობაში გადაიტანეს. ახალ შენობას ქალაქის მერიამ გასული წლის აგვისტოში ჩაუყარა საძირკველი. ზუსტად წლისთავზე კი სკოლა დამდეგ სასწავლო წელს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდება. გუშინ დასრულებული შენობა ქალაქის პრემიერმა მოინახულა. **"ეს სკოლა 21-ე საუკუნის შესაფერისი უნდა იყოს,"** - აცხადებს ქალაქის ხელმძღვანელობა. მართალია, ჩვენი საუკუნის შესაფერი სკოლა (შენობიან-ინვენტარიანად) თბილისის ბიუჯეტს საკმაოდ ძვირი, 4 მილიონ ლარამდე დაუჯდა, სამაგიეროდ, მოსწავლეებს იქ ისეთი პირობები დახვდებათ, რომ სკოლიდან წამოსვლა აღარ მოუნდებათ.

სკოლის ერთი ფლიგელი, სადაც სასწავლო კლასები განთავსდება, ექვსსართულიანი იქნება. შენობაში ლიფტი იმოძრავებს. მეორე სართულზე ბავშვებისთვის გადახურული სათამაშო მოედანი მოეწყობა. მეორე, ოთხსართულიანი ფლიგელი კი სპორტული დარბაზებისთვისაა განკუთვნილი. სკოლა ევროსტანდარტების დონეზე იქნება აღჭურვილი, ანუ ქიმია-ფიზიკის ლაბორატორიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, კომპიუტერული ქსელი და საკონფერენციო დარბაზები მოეწყობა. შენობა იმხელაა, სომხურ-რუსული სექტორის გარდა, ქართული სექტორიც თავისუფლად მოთავსდება. ყველაზე მთავარი კი, რითიც ეს სკოლა სხვებისგან განსხვავდება, ის არის, რომ აქ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები უფროსების დაუხმარებლად შეძლებენ სიარულს.

შენობის გარდა, ქალაქის ბიუჯეტიდან სასკოლო ინვენტარი და სკოლამდე მისასვლელი გზის რემონტიც დაფინანსდა. 3 200 ათასი ლარი შენობას მოხმარდა, 400-500 ათასამდე - ინვენტარით აღჭურვას, 300 ათასით კი სკოლამდე მისასვლელი გზა მოწესრიგდება.

მემორანდუმი დასაქმების პრობლემების მოსაგვარებლად

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ და "დამსაქმებელთა ასოციაციამ" გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საკითხები განიხილეს. მემორანდუმი საქართველოში უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას, დასაქმების პროგრამების ამოქმედებას შეეხებოდა. სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო და დამსაქმებელთა ასოციაცია შეთანხმდნენ, რომ დასაქმების პრობლემას ერთობლივად მოაგვარებენ. აქტიურად ითანამშრომლებენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა დონორების მიერ შემოთავაზებული პროგრამების განხორციელებაზე. გუშინდელ შეხვედრაზე შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც მემორანდუმის შესრულებას კოორდინაციას გაუწევს.

24 საათი

ჯართი - ძირითადი ექსპორტი

2005 წლის იანვარ-მაისში ქვეყნიდან 483 მილიონი აშშ დოლარის ჯართია გატანილი, რაც მთლიანი ექსპორტის 15,9 პროცენტს შეადგენს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი - 10,7 პროცენტი ფეროშენადნობების ექსპორტს უკავია. აღნიშნულ პერიოდში ქვეყნიდან 326 მილიონი დოლარის შენადნობებია გატანილი. მთლიან ექსპორტში 10,7-პროცენტიანი წილით მესამე ადგილზეა ნატურალური ღვინოები. ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში ასევე შედის საფრენი აპარატები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, შაქარი, ოქრო, მინერალური წყლები, აზოტოვანი სასუქები და თხილი.

ჯი-ეიჩ-ენი

შეუთანხმებელი მონაკვეთები

მთავარი პრობლემა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე

ვერიკო თევზაძე

ბადრი ბიწაძე და ელჩინ გულიევი მთავარ პრობლემად საზღვრისპირა სავარგულებს მიიჩნევენ.

"რა თქმა უნდა, არის პრობლემები. ძირითადად, პრობლემები იმ შეუთანხმებელ მონაკვეთებს შეეხება, რომლებზეც დელიმიტაცია, ჯერჯერობით, განხორციელებული არ არის. დღეს ჩვენ გვაქვს ადმინისტრაციული საზღვარი, მაგრამ არ ვიცით, სად გადის სახელმწიფო საზღვარი," - განაცხადა გუშინ აზერბაიჯანის სასაზღვრო დელეგაციასთან დახურული შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა ბადრი ბიწაძემ.

როგორც ბიწაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აზერბაიჯანელ კოლეგებთან მისი საუბრის თემა ისეთ პრობლემებს შეეხებოდა, რომელიც უკავშირდება კონტრაბანდას, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე შექმნილ სირთულეებს და ტერიტორიებს, სადაც ახლოს არის განლაგებული სავარგულები.

აზერბაიჯანის სასაზღვრო სამსახურის პირველი პირი, სასაზღვრო ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ელჩინ გულიევი ჩვენს ქვეყანას "სტრატეგიულ პარტნიორს" უწოდებს და ორ ახალგაზრდა სახელმწიფოს შორის კეთილმეგობრულ და საქმიან თანამშრომლობაზე საუბრობს. მიუხედავად ამისა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე პრობლემების არსებობას ვერც ბატონი გულიევი გამორიცხავს. გულიევმა აღნიშნა, რომ ბიწაძესთან მისი საუბარი შეეხო არალეგალური მიგრაციის, საზღვარზე კონტრაბანდის გადაადგილების და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

ქართველი ჟურნალისტების შეკითხვები, ძირითადად, ლაგოდეხის რაიონის ტერიტორიაზე შექმნილ "სასაზღვრო გაუგებრობებს" უკავშირდებოდა. გულიევმა დაადასტურა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავების შემთხვევები, მაგრამ იქვე ხაზგასმით დასძინა, რომ დაკავებულები იმავე დღეს გაათავისუფლეს.

აზერბაიჯანის დელეგაცია თბილისში გუშინ ჩამოვიდა. დღეს სტუმრები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს, კერძოდ, რეგიონული სასაზღვრო სამმართველო "გარდაბნის" და სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "წითელი ხიდის" მიმართულებას მოინახულებენ.

შეხვედრა კახეთის მაჟორიტარებთან

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გაზეთმა "24 საათმა", "სამართლიანი არჩევნების" ინფორმაციებზე დაყრდნობით, გამოაქვეყნა სტატია, რასაც კახეთის მაჟორიტარების ერთი ნაწილის მხრიდან საყვედურები მოჰყვა. თუმცა პუბლიკაციიდან რამდენიმე დღეში, გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ, ასე თუ ისე, ანგარიში მასმედიას და არასამთავრობოებს მაინც ჩააბარა. ანალოგიური სვლა გააკეთა ლაგოდეხის მაჟორიტარმა ლაშა ნაცვლიშვილმაც.

მდგომარეობის გასანეიტრალებლად გუშინ "სამართლიანი არჩევნების", გაზეთ "24 საათის", რეგიონში მოქმედი მედიასაშუალებების და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით შედგა კახელი მაჟორიტარი დეპუტატების შეხვედრა საზოგადოებასთან, მაგრამ მედიაცენტრ "კახეთის" ოფისში მისვლა მხოლოდ ორმა - ყვარლის და ახმეტის დეპუტატმა ისურვა, ხოლო სიღნაღის მაჟორიტარის ნაცვლად, პასუხებს მისი ბიურო იძლეოდა.

მასმედიის და არასამთავრობოების მიმართ პრეტენზიები სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ გამოთქვა. მისი ხელმძღვანელის თქმით, ქიზიყელების რჩეული ნუგზარ შოშიაშვილი ყოველთვის ამომრჩევლის გვერდით დგას და მას დასამდური არაფერი აქვს. **"თქვენი განცხადებებით და საგაზეთო სტატიებით ნუ განაწყობთ მაჟორიტარებს და მის ბიუროს უარყოფითისკენ,"** - ასეთი უცნაური მოწოდებით მიმართა ნუგზარ შოშიაშვილის წარმომადგენელმა კაკო ბუდაღაშვილმა მედიას.

შეხვედრაზე აქცენტი ალოობაზე და მოახლოებულ რთველზე კეთდებოდა. არანაკლებ მწვავედ დაისვა საკონტრაბანდო საკითხი. რაც შეეხება ყვარლის მაჟორიტარის ბიუროს, მისი ხელმძღვანელის თქმით, ბიუროს ფარგლებში ჩატარდა ორი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც ადგილობრივებმა ნათლად დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია. ბიუროს ხელმძღვანელის თქმით, ყვარლის მაჟორიტარმა ნათლად დააფიქსირა, რომ ის ყველა ინიციატივას მხარს დაუჭერს, რომელიც ადგილობრივების ინტერესებიდან გამომდინარეობს.

GTS ტენდერის ხელახლა ჩატარებას ითხოვს

მინისტრის დაპირებით, ახალი აეროპორტის მშენებლობას საფრთხე არ შეექმნება

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტენდერის ირგვლივ პრესაში ატეხილ აჟიოტაჟს, ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრი მხოლოდ გუშინ გამოეხმაურა. ალექსიშვილი პირობას დებს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა მოხდეს, აეროპორტის მშენებლობას საფრთხე არ შეექმნება. უბრალოდ, შესაძლოა, თბილისს ახალი აეროპორტი, 2006 წლის 26 მაისის ნაცვლად, ოდნავ მოგვიანებით ჰქონდეს.

მარიამ ჯაჭვაძე

შეგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აეროპორტის ტენდერში გამარჯვებული კონსორციუმის დაშლის შესახებ იუწყებოდნენ. კერძოდ, კონსორციუმის ერთ-ერთ წევრს ლუქსემბურგულ კომპანიას "ჯი-თი-ისს" - (GTS) უთანხმოება მოუვიდა კონსორციუმის დანარჩენ წევრებთან, რის გამოც ის, სავარაუდოდ, ხსენებულ კონსორციუმს მალე გამოეთიშება. კომპანიები ერთმანეთს შიდა ფინანსური პრობლემების გამო დაუპირისპირდნენ. ეკონომიკის ახლად დანიშნულმა მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ გვიან ღამით მიიღო ფაქსი ბელგიური კომპანია GTS-დან, რომლითაც დასტურდება, რომ GTS "ჩელებს" აეროპორტის პროექტის გაგრძელების უფლებას არ აძლევს და საქართველოს მთავრობას ტენდერის ხელახლა ჩატარებას სთხოვს.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი დარწმუნებულია, რომ თბილისის ახალი აეროპორტის მშენებლობას საფრთხე არ შეექმნება. მისივე ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს აეროპორტის მშენებლობაზე ხელახალი ტენდერის გამოცხადებას. ამის შესახებ განცხადება მან მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

ალექსიშვილის თქმით, კონსორციუმის ერთ-ერთი მხარე, კერძოდ, თურქული მხარე "ჩელები" აცხადებს, რომ ვალდებულებების შესრულებას მარტოც შეძლებს და, შესაბამისად, საფრთხე აეროპორტის შენებას არ შეექმნება.

თუმცა, GTS დანებებას არ აპირებს და ის უახლოეს დღეებში ჩელების წინააღმდეგ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

მოესწრება თუ არა ახალი აეროპორტის მშენებლობა მომავალი წლის დამოუკიდებლობის დღისთვის (როგორც ეს თავიდანვე იყო დაგეგმილი), ეს ჯერჯერობით უცნობია. ამ კითხვაზე პასუხი დღეს არც ფინანსთა ახალ მინისტრს აქვს. ალექსიშვილის განცხადებით, ამის შესახებ ზუსტ ინფორმაციას მთავრობა საზოგადოებას უახლოეს მომავალში მიაწვდის. მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა "ჩელებსა" და "ჯი თი ეს"-ს შორის არსებულ გაუგებრობაში არ ჩაერევა. ალექსიშვილის თქმით, ამ ორ კომპანიას შორის არსებული პრობლემები თავად მათ უნდა მოაგვარონ.

შეგახსენებთ, რომ აეროპორტის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მაისში გამოავლინა. თანამედროვე სტანდარტების აეროპორტის მშენებლობის უფლება მაშინ სამ კომპანიისგან შემდგარმა კონსორციუმმა მოიპოვა. ამერიკულ "ეი&ჯეი"-ს - აეროპორტის მართვა, თურქულ "ჩელები"-ს პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა უნდა განეხორციელებინა, ხოლო ლუქსემბურგის "ჯი-თი-ეს"-სი აეროპორტის მშენებლობასა და ინფრასტრუქტურაზე უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი. გამარჯვებულ კონსორციუმს მშენებლობა მაისის ბოლოს უნდა დაეწყო და 12 თვეში დაესრულებინა.

მეცნიერები კონკურსის შედეგებს აპროტესტებენ

დალი კუპრავა
სოფო მერაბიშვილი

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეკრებილმა პროფესორ-მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ გამოთქვეს უკმაყოფილება სამეცნიერო გრანტების მოპოვებაზე ჩატარებული კონკურსის პირობების და შედეგების გამო.

27 ივნისს, ფიზიკის ფაკულტეტზე, სიმონ წერეთლის ხელმძღვანელობით, მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფის მიერ შეიქმნა კომისია, რომელსაც მეცნიერების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კონკურსის შედეგების შესწავლა დაევალა. კომისიის წევრები კონკურსს უსამართლოდ მიიჩნევენ. პირველ რიგში, იმის გამო, რომ ინფორმაცია კონკურსის შესახებ "არასწორი და ყველასთვის მიუწვდომელი" იყო. თანამშრომლების ერთმა ნაწილმა საერთოდ არ იცოდა კონკურსის შესახებ, მეორე ნაწილს კი ეგონა, რომ მხოლოდ სამეცნიერო სექტორის თანამშრომლებს შეეძლოთ კონკურსში მონაწილეობა და არა უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს.

როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აცხადებს, თავის დროზე, მან ინფორმაცია ყველა ხელმისაწვდომი გზით გაავრცელა: ინტერნეტით და უნივერსიტეტის გაზეთით. რაც შეეხება კონკურსის მოკლე ვადას, განათლების სამინისტროს მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარის, ლევან ცინცაძის თქმით, დრო საკმარისი იყო. თუმცა, კრების მონაწილენი აცხადებდნენ, რომ ერთი თვე მოსამზადებლად, როგორც ამას განათლების მინისტრი აცხადებდა, მათ არ ჰქონიათ და კონკურსისთვის მზადება, სულ რაღაც, ხუთ დღეში მოუწიათ. ამ მიზეზების გამო ბევრს პროექტი კონკურსზე არ წარუდგენია, - აცხადებენ ფიზიკის ფაკულტეტის (რომელშიც დღეს შვიდი "ძველი" ფაკულტეტი შედის) თანამშრომლები.

კომისია მოითხოვს, რომ შეიცვალოს დეპარტამენტის თავმჯდომარე ლევან ცინცაძე, რომელსაც სუბიექტურ დამოკიდებულებაში სდებს ბრალს პროფესორი თენგიზ სანაძე. **"არსებობენ უფრო პატიოსანი და ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც წარმატებით გაართმევენ თავს მეცნიერების რეფორმას,"** - აცხადებს იგი.

კომისია მოითხოვს, გაუქმდეს მეცნიერების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილება, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კონკურსის შედეგების მიხედვით დაფინანსების შესახებ, აღდგეს საბაზო დაფინანსება და კონკურსი ხელახლა ჩატარდეს. გუშინდელ შეკრებას ესწრებოდნენ კონკურსის შედეგად დაფინანსებული მეცნიერი მუშაკებიც.

მოკლედ

აფხაზეთის მთავრობის სპეციალური განცხადება

აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კოდორის ხეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავისივე კომპეტენციის განხორციელების აუცილებლობას ახსენებს. კოდორის ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული სამხედრო დანაყოფის შექმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით გუშინ აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო დეპარტამენტმა სპეციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყნისათვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილებების მიღება "რომელიმე ცალკეული ჩინოვნიკის სურვილზე არ უნდა იყოს დამოკიდებული". "კოდორის ხეობაში უნდა იყოს ქვედანაყოფი ისეთი სამხედრო შესაძლებლობებით, რომელიც ხეობის გარანტირებულად დაცვას უზრუნველყოფს. რაც შეეხება ამ საკითხის გადაწყვეტის ტექნიკურ დეტალებს, ეს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა და აფხაზეთის მთავრობისთვის არსებით მნიშვნელობას არ წარმოადგენს," - ნათქვამია აფხაზეთის მთავრობის საინფორმაციო დეპარტამენტის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის საკრებულოს არჩევის წესთან დაკავშირებით საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და ურბანული ინსტიტუტის (UI) ორგანიზებით დღეს მრგვალი მაგიდა მოეწყობა. კონფერენცია სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება და მასში საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის, თბილისის საკრებულოსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. აფხაზები საქართველოს ხელისუფლებისგან იმ ფინანსური ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ, რაც, მათი აზრით, საომარი მოქმედებების დროს განადგურდა აფხაზეთის ეკონომიკა და დაინგრა ინფრასტრუქტურა. სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას თქმით, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ასეთ არასერიოზულ განცხადებებს ქართულმა მხარემ ყურადღება არ უნდა მიაქციოს. **მედიანიუსი**

თბილისი. 10-11 ივლისს დაბა ჩაქვში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება, რომლის სამუშაო თემაა: "საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით". კონფერენციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახსნის. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები. ასევე, გაეროს, ეუთოსა და ქართული და ოსური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციაზე მიწვეულნი არიან სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების ხელმძღვანელი პირები. **მედიანიუსი**

თბილისი. "ქართული მხარე არ აპირებს, შეეგუოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ადამიანების გატაცების ფაქტს," - აცხადებს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა. მისი თქმით, ამგვარ ვითარებას კონფლიქტის ზონაში საქართველოს ხელისუფლება ვერ შეეგუება და ყველაფერს იღონებს, რათა ცხინვალში დაკარგული ოთხი ქართველის გათავისუფლებას მიაღწიოს. **მედიანიუსი**

თბილისი. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები 30 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურნენ. ისინი მომხდარს ხელისუფლების მიერ ოპოზიციის მიტინგის დარბევად აფასებენ. "საქართველოში გადაუჭრელი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების სიმწვავე, რაც პოლიტიკური ვითარების დაძაბვას უწყობს ხელს, ჩვენს შეშფოთებას იწვევს. საქართველოს არასტაბილურობა, შეიძლება, მთელ რეგიონზეც აისახოს," - აცხადებს რუსეთის სათათბიროს დსთ-ს საქმეთა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინი. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ოპოზიცია - ჟურნალისტების ადვოკატი

ᲘᲠᲘᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გუშინ ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ ინფორმაცია მედიის წინააღმდეგ დაწყებული რეპრესიების შესახებ დაუყოვნებლივ გადაეგზავნება ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც საქართველოში პროცესების განვითარებას თვალს ადევნებს.

"მიგვაჩნია, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე, რომელიც დღეს ხმას იმაღლებს მმართველი რეჟიმის მხრიდან სულ უფრო მზარდი ძალადობის წინააღმდეგ, მოვალეა, დაიცვას დამოუკიდებელი მედია - სახელმწიფოსა და საზოგადოების ნორმალური, ცივილიზებული განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტი. ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფოები, რომელთათვისაც სულერთი არ არის საქართველოს დემოკრატიული მომავალი, ხმას აიმაღლებენ ძალადობის ამ მორიგი ტალღის წინააღმდეგ და ყველა მათთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით შეზღუდავენ ხელისუფლების თვითნებობას," - ნათქვამია ოპოზიციის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

სამი ოპოზიციური პარტია, ჟურნალისტების დასაცავად, საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვას ამზადებს.

ავტორი ლუკა ტაბატაძე, ფოტო

საზღვაო ბრძოლა რკინიგზის წინააღმდეგ

ᲘᲠᲘᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"საქართველო დაიინტერესებულია "აღმოსავლეთ-დასავლეთ" სატრანსპორტო კომუნიკაციის აღდგენით, რაც მინიმუმამდე შეამცირებს რეგიონში რუსეთის გავლენას. ამასობაში კი, თვით რუსეთი "ჩრდილოეთ-სამხრეთ" კომუნიკაციის აღდგენითაა დაინტერესებული," - აღნიშნავს ლაკობა.

სოხუმში არსებული ინფორმაციით, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების შეხვედრაზე განიხილებოდა. სწორედ მაშინ მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის პარალელურად მოხდება. სარკინიგზო მიმოსვლის ამოქმედებით კი, რუსეთი, სამხედრო ბაზების გაყვანისათვის გარკვეულ კომპენსაციას იღებს. რეალურად კი, საქართველოს რუსეთის სამხედრო ბაზების სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის გარეშე გაყვანის იმედი აქვს. თუმცა, მოლაპარაკებათა პროცესიდან გამოსვლის თაობაზე განცხადების გაკეთება მათ ახლა არ შეუძლიათ.

"ამიტომაც მათ სურთ, რომ ეს აფხაზურმა მხარემ გააკეთოს. ახლა გახშირდება გემებზე თავდასხმები. შესაძლოა, სხვა პროვოკაციებიც იყოს. ამის შემდეგ აფხაზური მხარე, პროტესტის ნიშნად, უარს იტყვის მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი გაურკვეველი ვადით გადაიწევს. სწორედ ამის მიღწევა სურთ," - განაცხადა უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა სტანისლავ ლაკობამ.

მისი მოსაზრებით, ერთადერთი გზა, რაც "საზღვაო ბრძოლას" შეწყვეტს, ქართველი სამხედროების ქმედებებზე აფხაზური მხარის მიერ ადეკვატური რეაგირების მოხდენაა. თუმცა მას, ჯერჯერობით, არ დაუკონკრეტებია, თუ რა იგულისხმება "ადეკვატურ რეაგირებაში".

სტრასბურგის მემორანდუმი - 2

პოლიტიკური პარტიები დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის წესებზე შეთანხმდნენ

თამარ ხორბალაძე

2006 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 4 პროცენტის გადამლახავ პოლიტიკურ პარტიებს სახელმწიფო დაფინანსებას გამოუყოფს. დაფინანსების ოდენობა "მიბმული" იქნება ამ პარტიის მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობაზე. თუმცა, პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის ზრდასთან ერთად, შემცირდება ერთ ხმაზე გასაცემი დაფინანსების მაჩვენებელი;

ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შეიქმნება სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც არჩევნების პერიოდში განახორციელებს პარტიების დაფინანსების მონიტორინგს. ასევე, შეიქმნება დღემდე არარსებული მექანიზმები არასაარჩევნო პერიოდში პარტიების დაფინანსების მონიტორინგის განხორციელებისა;

როგორც პარტიები, ასევე მედია, წინასაარჩევნო პერიოდში ყოველკვირეულად წარადგენენ საარჩევნო კომისიაში გაწეული ხარჯისა და მომსახურების ანგარიშებს;

საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის დაწესდება ფინანსური სანქციები - დაჯარიმდება თანამდებობის პირი, რომელიც კანონის დარღვევით ეწევა ამა თუ იმ პარტიის პროპაგანდას, დაჯარიმდება პარტია, თუკი სახელმწიფო უწყების შენობას გამოიყენებს, დაჯარიმდება, თუ ანონიმური შემომწირველისგან განსაზღვრულზე დიდი ოდენობის დაფინანსებას მიიღებს, და ასე შემდეგ...

გამკაცრდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამომრჩევლის მოსყიდვისთვის, არჩევნების გაყალბებისთვის;

პარტიებს აეკრძალებათ დაფინანსების მიღება უცხოური ორგანიზაციების ან უცხოეთის მოქალაქეებისაგან;

ანონიმური შემოწირულობების ოდენობა, ისევე, როგორც ერთი ფიზიკური თუ იურიდიული პირისგან მიღები თანხის ოდენობა, მოთავსდება მკვეთრად განსაზღვრულ ჩარჩოებში. მოკლედ, ასეთია ის ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზე შექმნილი საკანონმდებლო პაკეტის მხარდაჭერაც სტრასბურგში, 5 ივლისს, ევროპის საბჭოს ეგიდით გაფორმებულ მემორანდუმში პოლიტიკური პარტიების, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებმა დაფიქსირეს.

მემორანდუმის ხელმოწერა გახლავთ გაგრძელება იმ პროცესისა, რაც 2003 წელს ანტიკორუფციული საბჭოს ეგიდით და ევროსაბჭოს ძალისხმევით "სტრასბურგის მემორანდუმის" ხელმოწერით დაიწყო. იმ ეტაპზე მემორანდუმი, ზოგადად, პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას გულისხმობდა. 2005 წლის მემორანდუმით უკვე პოზიციებ- და ზოგ შემთხვევაში - სახელებშეცვლილი, პოლიტიკური ძალები კვლავ აფიქსირებენ იგივე პრინციპების მხარდაჭერას, თუმცა ამჯერად, მემორანდუმის ერთგვარი "დაკონკრეტება" გახლავთ საკანონმდებლო ცვლილებათა ის პაკეტი, რომლის ირგვლივაც სტრასბურგში საკმაოდ ცხარე დისკუსია გაიმართა. შესაბამისად, ჯერჯერობით აბსოლუტურად ყველა დეტალი შეთანხმებული არ არის და კანონპროექტები საბოლოო სახეს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელის, პარლამენტის ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის შეპირების თანახმად, შემოდგომისთვის მიაღწევს. შესათანხმებელია საბიუჯეტო დაფინანსების დეტალები მთავრობასთანაც, რაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად 2,5 მილიონ ლარამდე დაფინანსების გამოყოფაზეა ლაპარაკი, მარტივი არ იქნება.

სამაგიეროდ, უკვე შეთანხმებულია დეტალები მედიასთან დაკავშირებით - კანონპროექტების თავდაპირველ ვერსიაში გათვალისწინებული მუხლი იმასთან დაკავშირებით, რომ წინასაარჩევნოდ მედიაში არასარეკლამო ფორმატით გავრცელებული ნებისმიერი სახის "წინასაარჩევნო პროპაგანდისტული მასალა" ან "პროპაგანდისტული გამოსვლა" ამ მედია-საშუალების სოლიდური თანხით დაჯარიმებით დასრულდებოდა, ამოღებულია.

სტრასბურგის მემორანდუმის ხელმომწერებმა, სერიოზული დებატების შემდეგ, გაიზიარეს მედიის შიში იმასთან დაკავშირებით, რომ "საჭიროების შემთხვევაში", წინასაარჩევნოდ, არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში, "პროპაგანდისტულ გამოსვლად" ან "პროპაგანდისტულ მასალად" შეიძლება ჩათვლილიყო: ნებისმიერი პარტიის ლიდერის ბრიფინგის გაშუქება - სადაც იგი, ცხადია, წინასაარჩევნო მონაწილედეგეთა ნაკლზე და საკუთარ ღირსებებზე ისაუბრებს, დებატები, სადაც ყველა პოლიტიკოსი საკუთარი პარტიის იდეების პროპაგანდას ეწევა, ნებისმიერი პარტიის ყრილობის ან რეგიონული გასვლის გაშუქება და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. შესაბამისად, ამით მედიას, შესაძლოა, წინასაარჩევნო პოლიტიკური სიტყვიის გაშუქების საშუალება მოსპობოდა, ხელისუფლებას კი მისცემოდა საშუალება არასასურველი მედიასაშუალების "ფინანსური განადგურებისა".

მედიის აღნიშნული შიში, იმ პირობებში, როცა ქვეყანაში პროპაგანდასა და გაშუქებას შორის მკვეთრი ზღვარი არ არის გავლებული, ევროსაბჭოს ექსპერტებმაც გაიზიარეს. შესაბამისად - აღნიშნული ფრაზები კანონპროექტებიდან, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, სტრასბურგის შეთანხმების თანახმად, ამოღებულია.

ძებნილს საავადმყოფოში მიაგნეს

მეორე დღეა, მესტიის რაიონულ საავადმყოფოს სამართალდამცველები იცავენ. განსაკუთრებით გაძლიერებულია ბადრაგი საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატასთან, სადაც მძიმე ბრალდებებით ძებნილი ჯანგარ ჯაჭვლიანი იმყოფება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჯანგარ ჯაჭვლიანს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიცია 2004 წლის 14 სექტემბრიდან ეძებს. ის თბილისის ცენტრალური ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილ საზარელ მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. სამართალდამცველთა განცხადებებით, ჯანგარ ჯაჭვლიანმა, საკუთარ ძმასთან ერთად, ჯერ გააუპატიურა, შემდეგ კი დაახრჩო მანონი დაკარგულია. პოლიციის ინფორმაციითვე, მოკლული ახალგაზრდა ქალის ცხედარი ძმებმა რკინიგზის ვაგზლის სხვენზე გადმალეს. როგორც გაირკვა, ჯანგარ ჯაჭვლიანი მესტიის რაიონულ საავადმყოფოში, მიღებული ტრავმის გამო, ორი დღის წინ მიიყვანეს. თუმცა, მისი ნამდვილი სახელი და გვარი მაშინ არ გამჟღავნებულა. მან ექიმებს თავი თენგიზ ცინდელიანად წარუდგინა.

ჩვენი ინფორმაციით, მესტიის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ჩამოწოლილი მეწყერის გამო, სხვისი სახელითა და გვარით საავადმყოფოში ნაპოვნი მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილის თბილისში ეტაპირება ჯერჯერობით ვერ მოხერხდება.

24 საათი

ერთი ფოტოს ისტორია გრძელდება

ᲘᲠᲘᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ხელისუფლების წარმომადგენლების ტურაბელიძესთან "დათათბირების" მცდელობა ამით არ დასრულებულა. საქმეში ამჯერად ქუთაისის მოსაკრებლების სამსახურის უფროსი თემურ სულაძე ჩაერია, რომელსაც ქუთაისში ვიცე-გუბერნატორ შუშანიას "მამობილად" იცნობენ. სულაძემ მოლაპარაკებაში "მშვიდობის მტრედის" როლი იტვირთა და ტურაბელიძე, ადვოკატ ირაკლი ღოღობერიძესთან ერთად, ჯიბლაძეს განმეორებით შეახვედრა. ტურაბელიძე ამბობს, რომ "ჯორჯიან თაიმსის" წინააღმდეგ სარჩელის გატანის შემთხვევაში, მათ ჯიბლაძე გარკვეული თანხის გადახდას დაჰპირდა, ოღონდ - არაოფიციალური გზით. შეხვედრა მეორე დღეს, დილის 11 საათისთვის საღორიის ტყის მახლობლად დაინიშნა და ამ შეხვედრაში მონაწილეობა თბილისიდან ჩამოსულ "ჯორჯიან თაიმსის" წარმომადგენლებსაც უნდა მიეღოთ. არაოფიციალური გარიგების შემდეგ, მხარეები სასამართლოში გამოცხადდებოდნენ და ყოველივეს პროცესუალურად, ანუ ოფიციალურად გააფორმებდნენ. "ჯორჯიან თაიმსი" აღიარებდა, რომ სკანდალური ფოტოების ავტორი მართლაც თორნიკე ტურაბელიძე იყო, სანაცვლოდ კი ტურაბელიძე იტყოდა, რომ "ჯორჯიან თაიმსისგან" მორალური ზიანის ანაზღაურებას (50 000 ლარს) აღარ ითხოვდა. თანხას კი, ჯიბლაძე და მისი მეგობრები გადაუხდიდნენ, ოღონდ 5000 ლარს, "შინაურულად".

"იმის გამო, რომ ამ ხალხისგან იმ მომენტში თავი დამეხსნა და პროცესამდე მიმეღწია, მათ ამ გეგმას დავთანხმდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ დამიშვია, რომ რეალურად ამ გეგმაში მიმეღო მონაწილეობა," - აცხადებს ტურაბელიძე.

მეორე დღეს, 4 ივლისს, სასამართლო სხდომის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, გია ჯიბლაძე თავისი მობილური ტელეფონით ტურაბელიძეს დაუკავშირდა მობილურ ტელეფონზე და როცა ტურაბელიძემ ჯიბლაძეს აცნობა, რომ მათ გარიგებაზე წასვლას არ აპირებდა, მუქარის ენით ალაპარაკდა. არსებობს ამ სატელეფონო საუბრის აუდიო-ჩანაწერიც, რომელიც ტურაბელიძემ პოლიციას და მედიასაშუალებებს მიაწოდა.

სატელეფონო საუბარში ჯიბლაძე ტურაბელიძეს სთხოვს, სასამართლოში "ჯორჯიან თაიმსთან" მორიგებას და მორიგების პირობის საიდუმლოდ დატოვებას. ტურაბელიძის უარის შემდეგ, ჯიბლაძე ფოტოკორესპონდენტს ეუბნება: **"მასე არ ხდება, ძმაო, ცხოვრებაში და ცხოვრება არ შეგარჩენს შენ მაგ საქციელს."** ამ სიტყვების შემდეგ ჯიბლაძე ტურაბელიძისგან ითხოვს, რომ ყურმილი მის ადვოკატს ირაკლი ღოღობერიძეს გადასცეს. ღოღობერიძე ჯიბლაძეს განუმარტავს, რომ ტურაბელიძე დათმობაზე წასვლას არ აპირებს, რის შემდეგაც სატელეფონო საუბარი შემდეგი ფორმით გრძელდება:

გივი ჯიბლაძე: მაშინ თორნიკეს, ჩემო ძმაო, ერთი რჩევა მიეცი ჩემგან, მთელი ცხოვრება უნდა დაიცვა მაგი შენ.

ირაკლი ღოღობერიძე: ვისგან?

გივი ჯიბლაძე: ვისგან და რამოდენიმე პირისგან. დანარჩენს მე მაგას არაფერს არ ვეტყვი, მთელი ცხოვრება დაიცავი მაშინ შენ.

ირაკლი ღოღობერიძე: გივი, მე რა შუაში ვარ?

გივი ჯიბლაძე: მაშინ მაგას თუ გამოუწნდება სხვა დამცველი, წავიდეს და ნახოს.

ირაკლი ღოღობერიძე: ჩემი პოზიცია ხო იცი...

გივი ჯიბლაძე: გასაგებია, ჩემი პოზიცია გადაეცი, ხუთ წუთში თუ მოიფიქრებს, დამირეკოს, თუ არა და დანარჩენს მერე...

ირაკლი ღოღობერიძე: კარგი, თუ მოიფიქრებს, გადავცემ.

გივი ჯიბლაძე: დანარჩენს მერე მივხედავ. მთელი ცხოვრება ვიქნები მაგისი მოსისხლე მტერი და რაფერ ვაგებინებ პასუხს, მაგას ვაყურებინებ მერე მე, მე, პირადად. ხვალ დილიდან დაიწყება მაგ ამბები. გადაეცი ჩემგან...

ამის შემდეგ, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ტურაბელიძე სასამართლოს, სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისს და პოლიციას მიმართავს. მისი ადვოკატი ირაკლი ღოღობერიძე კი სასამართლოში შუამდგომლობით შედის და საქმიდან გასვლას მოითხოვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, ე.ი. უმოტივაციოდ. ტურაბელიძეს სასამართლომ სხვა ადვოკატის მოსაძებნად ერთკვირიანი ვადა მისცა. შესაბამისად, შემდეგი სხდომა 11 ივლისისთვის დაინიშნა. პარალელურად, იმერეთის შს მთავარ სამმართველოს ტურაბელიძის ჩვენების საფუძველზე საქმის გამოძიება მოუწევს.

გია გეწაძე ჟურნალისტებთან სატელეფონო საუბარში ამ საქმესთან რაიმე კავშირს უარყოფს და ვერც იმას იჯერებს, რომ შესაძლოა ჯიბლაძე ტურაბელიძეს დამუქრებოდა. თავად გია ჯიბლაძე ჟურნალისტებთან სატელეფონო საუბარში ამბობს, რომ **"სისულეებზე კომენტარს არ აკეთებს"**, თუმცა ფოტოკორესპონდენტის დამცირებას არც ჟურნალისტებთან საუბარში ერიდება: **"ტურაბელიძეს არ ვცნობ ადამიანად და კაცად მას შემდეგ, რაც ფოტოაპარატს თითი დააჭირა,"** - აცხადებს ჯიბლაძე.

ტურაბელიძესთან "გარიგებისა" და მასზე ზეწოლის ფაქტებს უარყოფს გიგა შუშანიაც და მთელ ამ პროცესს ქუთაისში "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორისგან გოჩა ჩხეტიასგან მართულს უწოდებს. იმერეთში პრეზიდენტის რწუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ქაჯაია "24 საათთან" საუბარში აცხადებს, რომ მისი თანამშრომლის გიგა შუშანიას მხრიდან ფოტოკორესპონდენტზე მუქარისა და ზეწოლის ფაქტებზე არაფერი სმენია, თუმცა კატეგორიულად მიუღებლად აცხადებს ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტზე ზეწოლის გამოვლინებას. თავის მხრივ, ხელისუფლების მხრიდან ფოტოკორესპონდენტზე ზეწოლისა და მუქარის ფაქტის გამო, სერიოზული პრობლემა აქვს პრეზიდენტის წარმომადგენელს იმერეთში ზურაბ ქაჯაიას.

საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევების ცენტრი
ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

საბიუჯეტო ხარჯები 74 პროცენტითაა დაფინანსებული

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს დღეს საშუალება აქვს, სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების წინასწარ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში დაფიქსირებული რამდენიმე ტენდენციის შესახებ მოგაწოდოთ გარკვეული წინასწარი ინფორმაცია.

პირველ რიგში, შეიძლება ითქვას, რომ წინა წლებთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებელი წელს აშკარად გაზრდილია, თუმცა არის სერიოზული პრობლემებიც:

ამ თვალსაზრისით, უდავოდ საინტერესოა, პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის ხარჯები - 2005 წლის 30 ივნისისთვის შესრულებულია სულ 74 პროცენტით, რაც მარტივად იმას ნიშნავს, რომ ნახევარი წლის ხარჯები გეგმის მიმართ 40 პროცენტით არის გარღვეული.

ეს ციფრი განსაკუთრებით საინტერესოა იმ ფონზე, როცა ხაზინაში ამ მომენტისთვის ნაშთი კვლავ საკმაოდ მაღალი გახლავთ და 160 მილიონ ლარს აღწევს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - თუ იგივე ხარჯების მაჩვენებლებს გადავხედავთ, აღმჩნდება, რომ 2005 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, ანუ ნახევარი წლის განმავლობაში, დაფინანსებულია ხარჯების სულ 39 პროცენტი, რაც მოწმობს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვაში ისევ შენარჩუნებულია ტრადიციული დისბალანსი, რაც ქვეყნის ფინანსური წინასწორობისთვის, როგორც ადრეც ვწერდით, საკმაოდ პრობლემატურია.

ცალკე საკითხია ბიუჯეტის შემოსავლები, რომლებიც კიდევ უფრო დეტალურ ანალიზს საჭიროებს და ამ ანალიზს უახლოეს დღეებში მოგაწოდებთ.

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურს უკვე 24-მა მოქალაქემ მიმართა

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის ბიუროებში მათი ამოქმედების დღიდან - 1 ივლისიდან 24 მოქალაქის განცხადება შევიდა, მათ შორის 8 - ზესტაფონის, ხოლო 16 - თბილისის ბიუროში.

ზესტაფონის ბიუროში ოთხ საქმეზე ბრალდებულებს ადვოკატი უკვე დაეინიშნათ, ხოლო დანარჩენ საქმეებზე ბიუროს თანამშრომელმა მოქალაქეებს კონსულტაციები გაუწიეს.

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური, უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდა.

სამსახურის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო, "IRIS - საქართველო" და აშშ განვითარების სააგენტო (USAID).

საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური ერთი წლის მანძილზე ორ ტერიტორიულ ბიუროში (გლდანი-ნაძალადევისა და ზესტაფონის) დასაქმებულ ადვოკატთა მეშვეობით, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში მოახდენს სოციალურად დაუცველ ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა დაცვას სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სტადიაზე. ამჟამად მიმდინარე ერთწლიანი პროექტი საცდელია. მომავალი წლიდან ასეთი ბიუროები მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდება.

24 საათი

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
„მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4
„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე

წამყვანები: ეკა ქეცბანიშვილი,გიგა ჯობრიონიძე
მისამართი: ლიტერატურული საიტი www.literatura.ge
სტუმრები (ახალგაზრდა მწერლები): ავთო სულაძე,მარიკა რაგიანიდა გულაძეკოკა არჩვაძე
ავთო სულაძე: „ეს საიტი ახალი ქართული ავტორებისა წარმოსაჩენად გაკეთდა და მგონი, ეს მისია სრულდება".
მარიკა რაგიანი: www.literatura.ge-ს ჟურნალი მწვანე ფერისაა,რაც იმას ნიშნავს,რომ ყველა ავტორს მწვანე შუქი აქვს ანთებული".
კოკა არჩვაძე: ამ საიტის საშუალებით შეგიძლიათ თქვენი ნაწარმოებები გააცნოთ მკითხველს, თან თუ გნებავთ, ანონიმურად და რაც მთავარია,პოისმინოთ კრიტიკული აზრი მათ შესახებ.
ია გულაძე: ყველა დაკარგულს ამ საიტზე ეპოეთი.



ხარჯები	წლიური გეგმა	წლის I ნახევრის გეგმა	ხარჯი 30 ივნისის მონაცემი	შესრულება წლიური გეგმის მიმართ %-ში	შესრულება წლის I ნახევრის გეგმის მიმართ %-ში
სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები *	2,799	1,501	1,111.7	39.72%	74.06%

გახდება თუ არა მწერალთა კავშირი პრივატიზაციის ობიექტი

"ბატონო პრეზიდენტო - მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს მწერალთა კავშირი, რომელიც ოთხას წევრს აერთიანებს - გვჯერა, რომ შეთქმულთა გვერდით დადგებით და არ დაუშვებთ სასახლის გასხვისებას, ქართველ მწერალთა დედაბოძის და კერის მოშლას". წერილს ხელს 14 შემოქმედი აწერს, მაგრამ გუშინდელ აქციაზე მწერალთა კავშირის სასახლესთან "ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს", ხელმომწერები სიტყვით არ გამოსულან.

აღნიშნულ წერილში ნათქვამია, რომ ქართველ მწერლებს არ აკმარეს სამარცხვინო სტიპენდიის, 22 ლარის ჩამორთმევა, ახლა შენობასაც ართმევენ. იქვე მაგალითად არის მოტანილი მენშევიკების დროინდელი საჩუქარი, რომლებმაც ქართველ მწერლებს ორი შენობა გადასცეს. ბოლშევიკებმა კი 100 მანეთი პენსია დაუნიშნეს. რაც შეეხება ეროვნული მთავრობის ლიდერს ზვიად გამსახურდიას, მან მწერალთა კავშირს საჩუქრად კომკავშირის ცკ-ს შენობა გადასცა გალაკტიონის ლიტერატორთა სახლის მოსაწყობად.

მწერლებმა პრეზიდენტთან ერთად მიმართეს და თანადგომა სთხოვეს ყველას, "ვისთვისაც უწმინდესი და უმნიშვნელოვანესია ქართული მწერლობის მომავალი".

გუშინდელ საჯარო პრესკონფერენციაზე კი გაირკვა, რომ უზენაესმა სასამართლომ მწერალთა კავშირისთვის კუთვნილი შენობის ჩამორთმევის საკითხის განხილვა უვადოდ გადადო იმიტომ, რომ გუშინ დანიშნულ სასამართლო პროცესზე მოპასუხე მხარე - ეკონომიკის განვითარების სამინისტროს წარმომადგენლობა არ გამოცხადდა. სასამართლო მორიგ პროცესს მაშინ დანიშნავს, როცა მოსარჩელე და მოპასუხე მხარეები უზენაეს სასამართლოში ერთდროულად გამოცხადდებიანო, ასეთია მწერალთა კავშირის განაცხადი.

მწერალთა კავშირმა სარჩელი კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროების წინააღმდეგ უზენაეს სასამართლოში მას შემდეგ შეიტანა, როცა გაირკვა, რომ თბილისის საოლქო სასამართლომ მწერლებისთვის შენობის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

აღნიშნულმა სამინისტროებმა კაფეშირს შენობის დაცლა მოსთხოვეს მას შემდეგ, რაც ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მწერალთა კავშირის შენობა სახელმწიფო ობიექტების საპრივატიზაციო ნუსხაში შეიტანა.

მწერალთა კავშირი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მათი შენობა სახელმწიფო ქონებას არ წარმოადგენს, რადგან ის გამსახურდიას ხელისუფლებამ მწერლებს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე პირად საკუთრებაში გადასცა.

ამერიკელები კინოთეატრებს აღარ სწყალობენ

უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკელებმა კინოთეატრებში სიარულს მოუკლეს. ამას მოწმობს "გელაპის" მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომელიც ჟურნალ Editor & Publisher-ში გამოქვეყნდა.

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღიარა, რომ კინოში იშვიათად დადის. კონოსეანსებით მოსახლეობის მხოლოდ 15 პროცენტი ინტერესდება. გამოკითხულთა მესამედმა განაცხადა, რომ ფილმებს სახლშიც მშვენივრად უყურებს, მეოთხედმა კი კინოს მიმართ დაკარგული ინტერესი ბილეთების სიძვირით ახსნა. ყოველი მეხუთე ამერიკელი დარწმუნებულია, რომ თანამედროვე ფილმები დაბალხარისხიანია.

კითხვაზე, "რა მიგიზიდავთ კინოთეატრში", პასუხები ასე განაწილდა: 43 პროცენტი ფიქრობს, რომ ბილეთების სიიაფე და სხვადასხვა კატეგორიებზე გავრცელებული შეღავათები, 36 პროცენტი თვლის, რომ სასურველია მაღალხარისხიანი ფილმების ჩვენება. 25 პროცენტი მიიჩნევს, რომ "კარგი იქნება, თუ მაყურებელი დარბაზში ნორმალურად მოიქცევა", 19 პროცენტის აზრით კი, კინოს იმ შემთხვევაში ეყოლება მეტი მაყურებელი, თუ DVD-ისა და პრემიერებს შორის დროის ხანგრძლივობა გაიზრდება.

ლეონარდო დი კაპრიო სასტუმროს აშენებს

ლეონარდო დი კაპრიომ კარიბის ზღვაში საკუთრება შეიძინა. 30 წლის ვარსკვლავმა 41,6 ჰექტარ ფართზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო უნდა ააშენოს. სასტუმრო ეკოტურიზმის მოყვარულთათვის იქნება განკუთვნილი.

დი კაპრიოს უახლოესი მეგობრის განცხადებით, მსახიობს სურს, "ფული ბუნების დაუზიანებლად მოიპოვოს". ამისთვის დი კაპრიო თვითაღმდგენ ბუნებრივ რესურსებსა და ენერგიის წყაროს გამოიყენებს. მსახიობი მას შემდეგ მოხვდა ბუნების დამცველთა სიაში, რაც ის ტაილანდში ფილმ "პლაჟში" გადაიღეს.

ავრილ ლავინი თხოვდება

კანადელი მომღერალი ავრილ ლავინი ჯგუფ Sum 41-ის მუსიკოსზე დერიკ უიბლიზე თხოვდება. 20 წლის ლავინისა და 25 წლის უიბლის რომანი 2004 წელს დაიწყო. მანამდე ისინი წლების განმავლობაში მეგობრობდნენ.

ორივე კანადის პროვინცია ონტარიოდანაა. ამბობენ, რომ წყვილმა ჯერ კიდევ შარშან ლოს ანჯელესში სახლი შეიძინა.

სხვადასხვა ბეჭდური გამოცემის ინფორმაციით, დერიკმა ლავინს გასულ კვირას, ევროპაში ყოფნის დროს სთხოვა ცოლობა. ამ დროს ლავინი საგასტროლო ტურნეში იმყოფებოდა. შეყვარებულები რომ მართლაც ქორწინდებიან, მათი პრესსამსახურებიც ადასტურებენ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე №89/24, მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, ა/წლის 12 ივლისს 12 საათზე გაიმართება საჯარო განხილვა ვაკე-საბურთალოს რაიონში მიროტაძისა და ფიზკულტურის ქუჩების განაშენიანების პროექტისა.

დაინტერესებულ პირებს მიეცემათ მოსაზრებების წარმოდგენის საშუალება.

დასწრების მსურველებმა თან იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

მეუღლე გუგული კანაჩაძე, შვილები ბესო და თინათინ კანაჩაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გელა სარდიონის ძე კანაჩაძე

პანაშვიდი: პარასკევს, 8 ივლისს 17 სთ-ზე, საბურთალოს პანთეონის წმ. გიორგის სახ. ეკლესიაში.

დაკრძალვა: შაბათს, 9 ივლისს 15 სთ-ზე.

ბენსონმა ფესტივალი დახურა

ჯონ სკოფილდი

ზაზა მიმინოშვილი და რენდი ბრეკერი.

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲙᲔᲚᲔᲪᲘᲣᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქართულ-ამერიკული ეთნო-ჯაზი

ფესტივალის ამ კონცერტს თბილისში, ალბათ, განსაკუთრებით ელოდა ყველა, ვინც ჯგუფ "შინს" გულშემატკივრობს; ვისაც ჯაზში საყვარი უყვარს და ვისაც დიდი სურვილი აქვს, "ისთერნ პრომოუშენის" ინიციატივა - ფესტივალზე შედგეს ხოლმე ქართულ-უცხოური წარმატებული პროექტები, გამართლდეს. "შინისა" და რენდი ბრეკერის ერთობლივი საკონცერტო გამოსვლა უდავოდ ყველაზე წარმატებული იყო აქამდე განხორციელებულთა შორის. მართალია, გარკვეულწილად შარშანდელმაც იმოქმედა ჩვენს აუდიტორიაზე, მაგრამ უკანასკნელი ტანდემი სერიოზულად მომზადდა. ეს არ იყო ჩაფიქრებული, როგორც უბრალოდ საკონცერტო გამოსვლა. ეს გახლდათ ერთობლივი პროექტი, რისთვისაც მუსიკოსები (როგორც "შინ", ისე ამერიკელი მესაყვირე რენდი ბრეკერი) რამდენიმე თვით ადრე მოემზადნენ და შედეგმაც, როგორც თავად მონაწილე მუსიკოსებმაც აღნიშნეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჯაზ-ფესტივალის ერთობლივ პროექტში რენდი ბრეკერის ჩართვა "შინის" მუსიკოსების წინადადება იყო. ამერიკელ მესაყვირესთან თანამშრომლობის გამოცდილება "შინის" დრამერს რეი კაჩინსკის ჰქონდა, ჯგუფის დანარჩენ წევრებს კი, უბრალოდ, სურვილი. **"რენდისთან მუშაობა ნებისმიერი ჯაზ-მუსიკოსის ოცნებაა, იგი უმაღლეს სფეროში მოღვაწე დიდოსტატია. საოცარი რამაა ჯაზი. ნამდვილად ვიცოდით, რომ რაღაც კარგი მოხდებოდა, მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იმ გაგებამ, რასაც ჩვენ მივაღწიეთ მას შემდეგ, რაც ტექნიკური პრობლემები დაიძლია და უცებ წამოვიდა მუსიკა"**, - გვითხრა ზაზა მიმინოშვილმა კონცერტის დაწყებამდე. ის, რაზეც ქართველი გიტარისტი პრესკონფერენციაზე გვესაუბრებოდა, მუსიკოსების სცენაზე გამოსვლის პირველივე წამებიდან გახდა მსმენელის გაოცების მიზეზი. მუსიკოსებმა ერთადერთხელ გაიარეს რეპეტიცია; მანამდე ამერიკელი მესაყვირე, ცხადია, მასალას გაეცნო, მაგრამ ასეთი ერთსულოვნება, რომელიც სცენიდან მოდიოდა, ნამდვილად იძლეოდა მსმენელის გაოცების საბაბს, რაც უდავოდ რენდი ბრეკერის გამორჩეულ ოსტატობას უსვამდა ხაზს.

ქართულმა ეთნო-მუსიკამ, რომელიც ჯგუფ "შინს" ჯაზთან ძალიან კარგად აქვს შერწყმული, ორგანულად მიიღო რენდი ბრეკერის საყვირი. თავის მხრივ, არც ბრეკერისთვის არის უცხო ფოლკის იმპროვიზაცია. ბრაზილიაში ბოლოდროინდელ მოღვაწეობას მუსიკოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ახლო მომავალში კი ბრეკერი ბრაზილიელ მუსიკოსებთან თანამშრომლობისას ჩაწერილ დისკს ელოდება. ახალი ჩანაწერის გამოსაცემად ემზადებიან ქართველი მუსიკოსებიც. "შინ", სავარაუდოდ, შემოდგომაზე წარუდგენს მსმენელს "მრავალჟამიერის" მეორე დისკს, რის შემდეგაც მორიგ ჩანაწერზე ("ელიტოპოლისის მატარებელი") გააგრძელებს ზრუნვას. ყველაზე სასიამოვნო "შინთან" დაკავშირებით კი ბოლო ორ წელიწადში ჯგუფის მიერ თბილისში განხორციელებული კონცერტები მიმაჩნია; იმედია, მათი სიხშირე დაინტერესებული მხარეების წყალობით კიდევ უფრო გაიზრდება.

ტრადიციების მატარებელი

ქართულ-ამერიკული პროექტით ნასიამოვნები და - არ დავმალავ - ამაყი, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი იმაზე, რაც 5 ივლისის საღამოს მეორე ნაწილში პირველივე წუთებზე მოხდა. ჯონი სკოფილდი რომ თანამედროვე ჯაზის გამორჩეული ფიგურა და არაჩვეულებრივი შემსრულებელია, ვიცოდი და ამიტომაც მიმაჩნდა მისი მოწვევა წლევანდელ ფესტივალზე ორგანიზატორების ყველაზე შეუმცდარ გადაწყვეტილებად (ბოდიშს ვუხდი ბენსონის თაყვანისმცემლებს), მაგრამ მის კონცერტს პირველად დავესწარი და პირველად სწორედ აქ ვიგრძენი, რა დონის მუსიკოსი იდგა ფილარმონიის სცენაზე.

"ჩემი ჯგუფის ღირსება მხოლოდ მე არ ვარ", - გვითხრა მუსიკოსმა პრესკონფერენციაზე და ნათქვამს თავმდაბლობაში ჩავუთვლიდი, რომ არ მცოდნოდა ბილი სტიუარტის (რომელსაც თავად სკოფილდმა ერთერთი საუკეთესო ახალგაზრდა დრამერი უწოდა ჯაზში) ოსტატობისა და ახალი ვარსკვლავის, ძლიერი ტენორსაქსოფონისტის კრის პოტერის შესახებ; დენის ერვინს (კონტრაბასი) კი ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით, სკოფილდთან მუშაობის ყველაზე დიდი ხნის გამოცდილება აქვს; ამას გარდა, მას ამერიკელი გიტარისტი მსოფლიოში უძლიერეს კონტრაბასისტთა შორის მიიჩნევს. უდავოა, რომ კვარტეტი საუკეთესო შემადგენლობით არის წარმოდგენილი დაგეგმილი ევროპული და ამერიკული ტურნეებისთვის.

თბილისის კონცერტი მეტად ემოციური გამოვიდა. სტუმარმა თავიდანვე გაგვაფრთხილა, რომ მართალია, მუსიკაში რომანტიკულობას თავად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ კვარტეტის ამჟამინდელი პროგრამა უფრო ხისტი იქნებოდა. მაგრამ მაილს დევისის ფავორიტი გიტარისტისა და პეტ მეთენის მეგობრის ნებისმიერი საკონცერტო პროგრამა მის კონცერტს პირველად დავესწარი და პირველად სწორედ აქ ვიგრძენი, რა დონის მუსიკოსი იდგა ფილარმონიის სცენაზე.

"ჩემი ჯგუფის ღირსება მხოლოდ მე არ ვარ", - გვითხრა მუსიკოსმა პრესკონფერენციაზე და ნათქვამს თავმდაბლობაში ჩავუთვლიდი, რომ არ მცოდნოდა ბილი სტიუარტის (რომელსაც თავად სკოფილდმა ერთერთი საუკეთესო ახალგაზრდა დრამერი უწოდა ჯაზში) ოსტატობისა და ახალი ვარსკვლავის, ძლიერი ტენორსაქსოფონისტის კრის პოტერის შესახებ; დენის ერვინს (კონტრაბასი) კი ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით, სკოფილდთან მუშაობის ყველაზე დიდი ხნის გამოცდილება აქვს; ამას გარდა, მას ამერიკელი გიტარისტი მსოფლიოში უძლიერეს კონტრაბასისტთა შორის მიიჩნევს. უდავოა, რომ კვარტეტი საუკეთესო შემადგენლობით არის წარმოდგენილი დაგეგმილი ევროპული და ამერიკული ტურნეებისთვის.

თბილისის კონცერტი მეტად ემოციური გამოვიდა. სტუმარმა თავიდანვე გაგვაფრთხილა, რომ მართალია, მუსიკაში რომანტიკულობას თავად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ კვარტეტის ამჟამინდელი პროგრამა უფრო ხისტი იქნებოდა. მაგრამ მაილს დევისის ფავორიტი გიტარისტისა და პეტ მეთენის მეგობრის ნებისმიერი საკონცერტო პროგრამა წარმოუდგენელია ლირიკული განწყობის გარეშე, მით უმეტეს ახლა, როდესაც სკოფილდმა უკანასკნელი ალბომი რეი ჩარლზს მიუძღვნა. ეს ალბომი თბილისის კონცერტზეც გაისმენა მუსიკოსმა და, როგორც მოსალოდნელი იყო, "ჯორჯია ონ მაი მაინდ" შემოგვთავაზა. სკოფილდის კვარტეტმა ამ კონცერტზე ჩვენ მსმენელს ძველი ჯაზის ხიბლი კიდევ ერთხელ აგრძნობინა. "უფრო ძველ ჯაზს ვუკრავ იმიტომ, რომ ის კლასიკაა", - განაცხადა სკოფილდმა და ისიც დაამატა, რომ, მცდელობის მიუხედავად, ცვლილებები მაინც გარდაუვალია: "ჩვენ ყველანი გარკვეული ტრადიციების მატარებლები ვართ და ეს ტრადიციები უნდა იყოს ყოველთვის შენარჩუნებული. მე ვცდილობ არა მხოლოდ მუსიკის, არამედ ჩემში არსებული ტრადიციების შენარჩუნებას, რაც შემდეგ მუსიკაშიც გადადის. ყოველთვის მიყვარდა უფროსი თაობის მუსიკოსებთან დაკვრა; ამ დროს მათგან იღებ რაღაც ენერგიას და ეს შენი ნაწილიც ხდება. შემდეგ ამას მომავალ თაობას გადასცემ, მაგრამ ყველაფერი მაინც იცვლება..."

იმედია, არ შეიცვლება "საქართველოს რკინიგზის" (5 ივლისის კონცერტების სპონსორი) დაინტერესება და მომავალშიც ისეთივე წარმატებით ითანამშრომლებს ჯაზ-ფესტივალთან, როგორც ეს თანამშრომლობის დებიუტისას გამოვიდა.

პრეზენტაცია პავილიონში

*"ძველი კინოსტუდიის" პავილიონში "კინოქალაქის" პროექტის პირველი ეტაპის პრეზენტაცია გაიმართა. იდეის გარშემო გაერთიანებულ ბიზნესმენებსა და კინემატოგრაფისტებს პროექტის კონცეფცია და დიზაინი **ხილიან შროფერმა** გააცნო. 2007 წლის ბოლოსთვის ამსტერდამის, რომისა და სან ფრანცისკოს შემდეგ, ჰოლანდიელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული ცენტრი თბილისში გაიხსნება.*

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ჰოლანდიელი არქიტექტორი და ინტერიერის დიზაინერი საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ ("ჯი-არ-დი-სი") მოიწვია. იმის გარდა, რომ შროფერს 15-წლიანი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს კომპანიის ერთ-ერთ დამფუძნებელთან ბობი მეიერთან, ასეთი არჩევანი არქიტექტორის შემოქმედებითმა ორიენტაციამაც განსაზღვრა. ხილიან შროფერს შექმნილი აქვს ევროპასა და შეერთებულ შტატებში პოპულარული ბარების, კლუბების, რესტორნებისა და საკონცერტო დარბაზების დიზაინი. მის ყველაზე მნიშვნელოვან პროექტად მიჩნეულია კინოქალაქის ტიპის ცენტრი "საფერ ქლაბი": "ეს არის პროექტი, რომელმაც სახელი გამითქვა. "საფერ ქლაბის" იდეა ამსტერდამში იშვა. შემდეგ ვთანამშრომლობდი რომში იტალიელ კოლეგებთან, ხოლო სულ მალე ცენტრი გაიხსნება სან ფრანცისკოშიც. მისი კონცეფციის ასლი გადაღებული იქნება მსოფლიოს ბევრ ქალაქში. რაც შეეხება კინოქალაქს თბილისში, აქ ვცდილობ უკვე განხორციელებულის არა მხოლოდ ასლი გადავიღო, არამედ კიდევ უფრო გავაუმჯობესო. პროექტზე მუშაობენ ქართველი კოლეგები, რომლებიც იდეას არსებულ რეალობას უკეთესად შეუსაბამებენ", - გვითხრა სტუმარმა. მისივე ვარაუდით, კინოქალაქის მშენებლობა წელიწადნახევარში უნდა განხორციელდეს. თუმცა, ჯერ არც ეს პროექტია დამთავრებული. ძველი კინოსტუდიის პავილიონში გამართულ პრეზენტაციაზე არქიტექტორმა პროექტის მონახაზი გაგვაცნო. მუშაობა პროექტზე შროფერმა თვის წინათ დაიწყო.

ლადო იმნაიშვილი და ხილიან შროფერი.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲚᲐᲪᲢᲘᲣᲜᲘ, ᲞᲠᲔᲡᲐ

პრეზენტაციას საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო. მათ შორის იყვნენ როგორც კინემატოგრაფისტები, ისე სტუმრები კულტურისა და ბიზნესის სფეროებიდან. ვიდრე კინოქალაქის პროექტის არქიტექტორი პროექტის დეტალებს გაგვაცნობდა, პროექტის იდეაზე ისაუბრეს: პროექტის დირექტორმა ("ჯი-არ-დი-სიდან") ლადო იმნაიშვილმა, ასევე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა.

პროექტის მიხედვით უნდა მოხდეს ძველი პავილიონის რეკონსტრუქცია ("ჯი-არ-დი-სი" პარალელურად დიღმის ტერიტორიაზე ააშენებს თანამედროვე ტიპის კინოს პავილიონს). ამ ტერიტორიაზე გაშენდება კულტურულ-გასართობი ცენტრი და ახალი პავილიონი. კულტურულ-გასართობი ცენტრი მხოლოდ ნაწილია იმ დიდი პროექტისა, რომლის განხორციელებაც ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე იგეგმება. პავილიონში განთავსდება ხუთი კინოთეატრი, რომელთაც სათითაოდ გარკვეული მიმართულება ექნებათ; ჩაფიქრებულია გრანდ კაფესა და საფესტივალო-საკონცერტო დარბაზის (სადაც შესაძლებელი იქნება მსხვილმასშტაბიანი ფესტივალების მოწყობა) აშენება.

ადმინისტრატორი

კომპანია **BP Exploration Caspian Sea Ltd** კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას სუფსის ტერმინალზე ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:
ადმინისტრატორის ძირითადი მოვალეობებია:

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:
მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):
- პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს საკითხებზე
- STOP პროგრამაში აქტიური მონაწილეობა
- თარჯიმნის ფუნქციების შესრულება
- ყიდვა/მომსახურების განაცხადების წარმოება MAXIMO-ს საშუალებით
- სუფსის ტრეინინგების კოორდინაცია, მათ შორის მგზავრობისა და საცხოვრებლის მოთხოვნილებების კოორდინაცია
- სუფსის თანამშრომლებთან დაკავშირებულ საკითხებზე BP-ის კადრებისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებებთან მოლაპარაკება
- ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ექსპლუატაცია MAXIMO-ს საშუალებით
- სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის აღრიცხვის სისტემის კოორდინაცია
- სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის კონტროლის სისტემის კოორდინაცია
- საწყობის ინვენტარიზაციის სისტემის კოორდინაცია
- სატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური შემოწმებების შეგროვება და განხილვა, დანაკლისის შემოწმება. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური მომსახურების მოთხოვნის შევსება და ჩაბარება. თუ რაიმე შემჩნეული დეფექტის გამო სახიფათოა სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, ამ სატრანსპორტო საშუალების ხმარებიდან დაუყოვნებლივ გამოყვანის უზრუნველყოფა.
- შავი ყუთიდან მონაცემების ჩამოტვირთვა, ანგარიშების დაბეჭდვა და სუფსის მენეჯერისათვისა და GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორისათვის გაგზავნა თბილისის ოფისში
- ყველა ტრანსპორტის საშუალების მიერ დაფარული დისტანციის ჩანაწერების წარმოება და ანგარიშვალდებულება GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორის წინაშე თბილისში
- იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, როგორიცაა ტექნიკური პასპორტი, გამოყენებამდე სატრანსპორტო საშუალების ყოველდღიური შემოწმების საკონტროლო სია, არის ყველა სატრანსპორტო საშუალებაში.
- სატრანსპორტო საშუალებებზე ჩატარებული ტექნიკური მომსახურების აღრიცხვის წარმოება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ოფისში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება, საკუთარი სამუშაოს შესრულების მინიმალური ზედამხედველობით შესრულების უნარი, გუნდური მუშაობისას ეფექტური კომუნიკაციის უნარი
- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
- ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 19 ივლისი, სამშაბათი, 18:00.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

საკადრო ცვლილება ირანში

ირანის ისლამური რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტოს "ირნა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით დასავლეთთან მოლაპარაკებებში ოფიციალური თეირანის წარმომადგენელმა და ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივანმა ჰასან როჰანიმ გადადგომის შესახებ დაწერა განცხადება. როჰანი 2003 წლის ოქტომბრიდან იყო ირანის ოფიციალური წარმომადგენელი ევროკავშირთან მოლაპარაკებებში. სააგენტო "როიტერს"-ის თანახმად, როჰანიმ გადადგომის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ პრეზიდენტ მოჰამად ხათამის გაუგზავნა. განცხადებაში არაფერი იყო ნათქვამი გადადგომის მიზეზის შესახებ; ასევე უცნობია, დაკმაყოფილებული იქნება თუ არა განცხადება.

რაც შეეხება მედიის საშუალებით გამოთქმულ ვარაუდებს, მიიჩნევენ, რომ როჰანის გადადგომა ქვეყნის ხელისუფლების სათავეში თეირანის ყოფილი მერის მაჰმუდ აჰმადინეჟადის მოსვლას უკავშირდება. **24 საათი**

გლენიგლზის სამიტი

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გოლფის კურორტი გლენიგლზი - "რივიერა მთებში", როგორც მას უმშვენიერესი ბუნებისთვის უწოდეს, შოტლანდიის დედაქალაქის ედინბურგის მახლობლად მდებარეობს. ციხესიმაგრეში გათავსებული ეს სასტუმრო კომპლექსი 6-8 ივლისს "დიდი რვიანის" წევრი-ქვეყნების 2005 წლის სამიტს მასპინძლობს. გუშინ შოტლანდიაში მთელი დღის განმავლობაში მსოფლიოს უძლიერესი (უფრო სწორედ, ყველაზე მდიდარი) სახელმწიფოების მეთაურები იკრიბებოდნენ. დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, კანადის, იაპონიისა და რუსეთის ლიდერებს ჩინეთის, ინდოეთის, მექსიკის, სამხრეთ აფრიკისა და ბრაზილიის მეთაურებიც შეუერთდნენ. სამიტს ესწრებოდა ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ დურაო ბაროზუც.

წლევანდელი "დიდი რვიანი" ერთგვარ მესიანურ მიზნებსაც ისახავდა. სამიტის დღის წესრიგიდან გამომდინარე, მისი დევიზი თავისუფლად იქნებოდა "გადავარჩინოთ!" - თუმცა, ერთი მხრივ, აფრიკაა გადასარჩენი სიღარიბისგან, ხოლო მეორე მხრივ - მთელი პლანეტა სათბური აირების დამღუპველი ზემოქმედებისგან.

"კეთილშობილი" მიზნები ამოძრავებს დიდ ბრიტანეთს - მას, როგორც "დიდი რვიანის" მოქმედ თავმჯდომარეს, სურს, რომ მიღწეულ იქნეს შეთანხმება გლობალური დათბობის საწინააღმდეგო ერთობლივი ღონისძიებების შესახებ. ეს დოკუმენტი, რომელიც "კიოტოს ოქმის" სახელითაცაა ცნობილი, მიმდინარე წლის თებერვალში ამოქმედდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ აშშ კატეგორიულად აცხადებს უარს მის ხელმოწერაზე; ხოლო ამერიკელთა მონაწილეობის გარეშე (მიახლოებითი გათვლებით, აშშ-ზე სათბური გამონაბოლქვის ყველაზე დიდი წილი მოდის), ეს დოკუმენტი აზრს კარგავს.

რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხებს, პირველ რიგში, მსოფლიოს ლიდერების ყურადღებას იმსახურებს ნავთობზე კატასტროფულად მომატებული ფასები და მათი შესაძლო ზეგავლენა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, სამიტზე სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილება.

ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესი, ისევე, როგორც ადრინდელ "დიდი რვიანის" სამიტებზე, დღესაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იქნება. ტონი ბლერმა შეიმუშავა "წინადადებათა პაკეტი" რომელიც, სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის მიზნით, პალესტინელთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ცხადია, "დიდი რვიანის" წევრი-ქვეყნების ინტერესი მხოლოდ ამ საკითხებით არ შემოიფარგლება - მაგალითად, იაპონია ჩრდილოეთ კორეის ბირთვული განიარაღების საკითხს წამოწევს; ასევე, დღის წესრიგიში იქნება ირანის ბირთვული პროგრამის საკითხიც; გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ლიდერები დანარჩენ მონაწილეებს ირანთან თავიანთი მოლაპარაკებების შედეგებს გააცნობენ ამ საკითხთან დაკავშირებით.

დღის წესრიგშია მსჯელობა ერაყის მომავალ განვითარებაზე; ლიბანისა და სირიის ურთიერთობები; ასევე, ზიმბაბვეს დიქტატორი და მის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევები და ა.შ.

ყველა ეს საკითხი დღეს იქნება განხილული. სამიტის ბოლო დღეს - 8 ივლისს მთელი ყურადღება აფრიკის უღარიბესი ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერას დაეთმობა. მართალია, დღეს ყველა აცხადებს, რომ თანახმაა, აფრიკას ვალები ჩამოაწეროს, მაგრამ არც ეს თემაა სრულად შეთანხმებული; მაგალითად, აშშ ვალების ჩამოწერას აფრიკულ ქვეყნებში კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობას უკავშირებს; ასევე, განსხვავდება ლიდერების პოზიციები ჩამოსაწერი ვალების ოდენობაზეც.

გარდა ამისა, წინააღმდეგობა არსებობს აფრიკის დასახმარებლად გამიზნული მეორე ღონისძიების განხორციელების თვალსაზრისითაც - აშშ და ევროკავშირი ეწინააღმდეგებიან აფრიკის ქვეყნების მოთხოვნას, განვითარებულმა სამყარომ შეწყვიტოს სოფლის მეურნეობის სუბსიდირება.

ასე რომ, წინ დაძაბული მოლაპარაკებების ორი დღეა. თუმცა, წინასწარი პროგნოზებით, სამიტი მსოფლიოს დიდ გარდაქმნებს არ მოუტანს. ბევრი მიმომხილველის აზრით, ეს მხოლოდ "პროტოკოლური" ღონისძიება იქნება.

თხელი და მსუბუქი, განსაკუთრებული დიზაინით და ხარისხით, ახალი ნოუთბუქი HP Compaq (ეიჩ-პი კომპაკ) nx6110, Intel® Centrino™ Mobile Technology (მობილური ტექნოლოგია ინტელ სენტრინო) ტექნოლოგიის ბაზაზე გაძლევთ თქვენს ოფისთან მუდმივი კავშირის გარანტიას უახლესი უშავთულო ტექნოლოგიის წყალობით. დამატებითი ბატარეის გამოყენებით თქვენ შეგიძლიათ გაზარდოთ ავტონომიური მუშაობის სტანდარტული 4 საათი 9 საათამდე. სწორედ ამიტომ, თქვენ იქნებით ხაზზე ყველგან, სადაც არ უნდა იყოთ. დაუმატეთ ამას დიზაინის შესანიშნავი ხარისხი და მისაღები ფასი და თქვენ იგრძნობთ, თუ რატომ არის მაინცდამაინც ეს ნოუთბუქი თავისუფლების ახალი ფორმულა HP საგან.

HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nx6110

$900* -დან

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 730/740
  - ინტეგრირებული მოდულ Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- 256 მეგაბაიტი, 1 DIMM
- 40–60 გიგაბაიტი, 4200–5400 ბრუნი/წთ
- 15" დისპლეი XGA
- წონა 2,7 კგ
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებითი 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 2 USB 2.0

HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nc6120

$1,600* -დან

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 730/740/750
  - ინტეგრირებული მოდულ Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- 256/512 მეგაბაიტი, 1/2 DIMM
- 40–80 გიგაბაიტი, 4200–5400 ბრუნი/წთ
- 14,1"/15" დისპლეი XGA
- წონა 2,7 კგ
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებითი 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 4 USB 2.0

HP COMPAQ BUSINESS NOTEBOOK nc6220

$2,100* -დან

- მობილური ტექნოლოგია Intel® Centrino™
  - პროცესორი Intel® Pentium® M 740/750
  - ინტეგრირებული მოდულ Intel® PRO / Wireless LAN 802.11 b/g
- 512 მეგაბაიტი, 1 DIMM
- 40–60 გიგაბაიტი, 5400 ბრუნი/წთ
- 14,1" დისპლეი XGA
- წონა 2,7 კგ
- 6-სექციანი ლითიუმის იონური ბატარეა, დამატებითი 8-სექციანი ბატარეა HP Travel Battery (იყიდება ცალკე)
- 2 USB 2.0

ბატარეა უზრუნველყოფს ავტონომიური მუშაობის დამატებით 5 საათს

დამატებითი ბატარეა $200* -დან

hp invent ეიჩპი ინვენტ

შეიძინეთ

თბილისი: კომპლექს ბრო 53 76 76, 25 06 05 • ესაბი 25 29 00
ორიენტ ლოჯიკი 33 06 16 • იუკითი 22 05 05 • იცერსი 25 39 82

intel inside centrino

ინტელ ინსაიდ სენტრინო

©2005 Hewlett-Packard Development Company, L.P. ყველა უფლება დაცულია. Intel, Intel logo, Intel Inside, Intel Inside logo, Intel Centrino, Intel Centrino logo, Celeron, Intel Xeon, Intel SpeedStep, Itanium, Pentium, and Pentium III Xeon არის საქონელი ნიშნები, ან დარეგისტრირებული საქონელი ნიშნები, რომელიც ეკუთვნის ინტელ კორპორაციას ან მის შვილობილ კომპანიებს აშშ-სა და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.
* - შესაძლებელია სხვადასხვა ფასის დაწესება. მიწოდებების ფასებისაც გათვალისწინებით ქალაქში ბარის ცენტრალური ნაწილი. საჭიროებისამებრ უნდა იყოს ხელმოწერილი.

შავი კონტინენტის ლიდერებმა მსოფლიოს ახალი მოთხოვნები წაუყენეს

ლიბიაში 53 აფრიკული ქვეყნის პოლიტიკოსის შეხვედრაზე აფრიკელმა ლიდერებმა, დაპირებულ 40 მილიარდ აშშ დოლართან ერთად, მსოფლიოს ყველა სხვა ვალის პატიებაც მოსთხოვეს, სანაცვლოდ კი, 2010 წლისთვის კონტინენტზე შეიარაღებული კონფლიქტების აღკვეთისა და პოლიტიკური სტაბილურობის დამყარების პირობა დადეს. აფრიკულ სამიტს გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანიც დაესწრო. აღსანიშნავია, რომ აფრიკული სახელმწიფოების ლიდერების შეხვედრა "დიდი რვიანის" სამიტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დასრულდა.

ᲜᲐᲜᲐ ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დიდი რვიანის სამიტზე შეკრებილ ლიდერთა განხილვის საგანი, გლობალურ კლიმატურ ცვლილებებთან ერთად, აფრიკის ქვეყნებში სიღარიბის დაძლევა იქნება. შავი კონტინენტის ქვეყანების ლიდერები სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩენილი 14 ქვეყნისთვის 40 მილიარდი აშშ დოლარის პატიების იდეას აღფრთოვანებით შეხვდნენ და თავისი კმაყოფილება ლიბიაში გამართულ შეკრებაზე გამოხატეს. თუმცა, აფრიკის სახელმწიფოთა ლიდერებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოთხოვნები გაეზარდათ და ისინი, ნახსენები თანხის გარდა, კრედიტორთაგან საერთაშორისო ვალებთან ერთად ყველა ორმხრივი და კომერციული ვალის პატიებას ითხოვენ. მთლიანობაში ეს თანხა 350 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. 53 აფრიკული სახელმწიფოს ლიდერი მსოფლიოს საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში გარკვეული ცვლილებებისკენ მოუწოდებს - კერძოდ, საუბარია განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების გაუქმებაზე.

ზოგიერთი აფრიკული ქვეყნის ლიდერი, მათ შორის, ნიგერიის პრეზიდენტი ოლუსეგუნ ობასანჯო დიდი რვიანის სამიტზეა მიწვეული. აფრიკულ სამიტზე გამოსულმა ნიგერიის პრეზიდენტმა დასავლეთს კონტინენტისთვის დიდი ფინანსური დახმარების აღმოჩენისკენ მოუწოდა. "ახლა ლაპარაკის დრო არ არის. უმჯობესია, უპირატესობა სერიოზულ და შეთანხმებული ქმედებებს მივანიჭოთ", - აღნიშნა ოლუსეგუნ ობასანჯომ. თუმცა, შავი კონტინენტის ყველა ლიდერს აღნიშნული საკითხის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება არ აქვს. ლიბიის პრეზიდენტმა მოამზად კადაფიმ ორშაბათს გაკეთებულ თავის 30-წუთიან მიმართვაში აფრიკელებს დასავლეთთან "მათხოვრობისგან" თავის შეკავება ურჩია. "ჩვენ მდიდარი ხალხის ზღურბლზე მიმდგარი მათხოვრები არ ვართ. როცა ღარიბს ეხმარები, მას სხვა ტანისამოსის ჩაცმა და სხვაგვარად ლოცვა არ უნდა მოსთხოვო", - აღნიშნა კადაფიმ.

აფრიკულ სამიტს გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანიც დაესწრო. ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სამიტის მონაწილე ქვეყანათა უმრავლესობა სიღარიბის პრობლემის მოგვარებაში, მათთვის აღმოჩენილ საერთაშორისო დახმარებათა ნაცვლად, კონტინენტზე ვაჭრობის განვითარებას მიანიჭებს უპირატესობას. კოფი ანანის თქმით, იმისთვის, რათა აფრიკული ქვეყნები კონკურენტუნარიანნი გახდნენ, განვითარებულმა ქვეყნებმა ადგილობრივ სუბსიდიებზე უარი უნდა განაცხადონ.

აფრიკულ სამიტზე მიღებული დეკლარაცია საერთაშორისო საზოგადოების მიმართ გაერო-ს უშიშროების საბჭოში აფრიკისთვის ორი მუდმივი და ხუთი დროებითი ადგილის გამოყოფის თხოვნას შეიცავს. "ასოშიეითიდ პრეს"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობის ადგილზე კანდიდატურის წარდგენის სურვილი ხუთ აფრიკულ სახელმწიფოს აქვს; კერძოდ, აღნიშნულ საკითხში ერთმანეთის კონკურენტები არიან: ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სენეგალი, ანგოლა და ნიგერია. ორშაბათს გამართულ კონფერენციაზე ლიბიის ლიდერმა მოამზად კადაფიმ აფრიკის სახელმწიფოთა წევრებს გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოში ორი მუდმივი ადგილის დაკავება მონაცვლეობით - ერთიდან ორ წლამდე ვადით ურჩია.

სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში აფრიკელმა ლიდერებმა 2010 წლისთვის, კონტინენტზე შეიარაღებული კონფლიქტების აღკვეთისა და პოლიტიკური სტაბილურობის დამყარების პარალელურად, ტერორიზმთან და ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ბრძოლის პირობაც დადეს.

ფინეთში ევროკავშირის პოპულარობამ იკლო

ფინეთში ახლახან ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად გამოაშკარავდა, რომ ევროკავშირის ეს წევრი-ქვეყანა სულ უფრო ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებს ევროგაერთიანების მიმართ. გამოკითხვის შედეგების თანახმად, ევროკავშირში ფინეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით კენჭისყრა ახლა რომ ჩატარებულიყო, ქვეყანაში მოსახლეობის 46 პროცენტი - წინააღმდეგი, ხოლო ინტეგრაციის მომხრეთა პროცენტული მაჩვენებელი ოდნავ ნაკლები იქნებოდა, კერძოდ - 43 პროცენტი.

სოციოლოგიური გამოკითხვა ივნისში ჩატარდა ევროპის ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით საფრანგეთისა და ნიდერლანდების რეფერენდუმების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო, დაახლოებით, 1 000 კაცმა.

როგორც აღმოჩნდა, მარტში იგივე საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის დროს ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრე ფინელების რიცხვი 9 პროცენტით მეტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პოპულარობა ფინეთში ადრეც არაერთხელ დაცემულა, ამჯერად ექსპერტები ევროგაერთიანებისადმი ფინელების ინტერესის შემცირების მიზეზად საფრანგეთისა და ნიდერლანდების რეფერენდუმების შედეგებს მიიჩნევენ.

რიანოვოსტი

"ჰამას"-ს ნაციონალური ერთიანობის მთავრობასთან შეერთებისკენ მოუწოდებენ

მინისტრთა კაბინეტის ყოველკვირეულ სხდომაზე პალესტინის ავტონომიის ხელისუფლების მეთაურმა აჰმედ კურეიმ კიდევ ერთხელ მოუწოდა პალესტინურ მოძრაობა "ჰამას"-ს, შეუერთდეს ნაციონალური ერთიანობის მთავრობას. "ეს ტაქტიკური კი არა, სტრატეგიული სვლაა, რომელიც არ უკავშირდება არც არჩევნებს და არც შიდა კონფლიქტებს", - განაცხადა კურეიმ.

გასულ კვირას ამანში (იორდანია) მოძრაობა "ფათხ"-ის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა წინადადება ეროვნული ერთიანობის მთავრობის ფორმირების შესახებ. იგი უნდა მოიცავდეს ყველა ძირითად პალესტინურ პარტიასა თუ მოძრაობას. ამ წინადადებით არ დაინტერესებულან რადიკალური მოძრაობები - "ჰამასი" და "ისლამური ჯიჰადი". მათ ამ იდეის განხორციელება მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ მანამდე, სანამ ისრაელი ღაზას სექტორში რჩება.

რიანოვოსტი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

